ევროკავშირი საქართველოსთვის

UNFPA

UN WOMEN

ერთად გენდერული სტერეოტიპებისა
და გენდერული ძალადობის დასაძლევად
#eu4genderequality

გენდერული თანასწორობის საკითხები უმაღლეს განათლებაში

გენდერული თანასწორობის საკითხები უმაღლეს განათლებაში

აკადემიურ კონფერენციაზე წარმოდგენილი აბსტრაქტების კრებული

სამოქალაქო ინტეგრაციისა და ერობვნებათშორისი ურთიერთობების ცენტრი

10 დეკემბერი, 2025

ეს პუბლიკაცია შექმნილია ევროკავშირის მხარდაჭერით. მის შინაარსზე სრულად პასუხისმგებელია გაეროს ქალთა ორგანიზაცია და შესაძლოა, რომ იგი არ გამოხატავდეს ევროკავშირის შეხედულებებს.

არდაშელია ომარ
სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ქალთა ლიდერობა საერთაშორისო ურთიერთობებში (ისტორიული და თანამედროვე კონცეფტი)

ქალთა ლიდერობა თანამედროვე საერთაშორისო ურთიერთობებში ასახავს გენდერული როლების ევოლუციას საერთაშორისო პოლიტიკის სისტემაში. ისტორიულად, დიპლომატიური სივრცე მამაკაცებით იყო დომინირებული, თუმცა ქალები სხვადასხვა ეპოქაში მნიშვნელოვან, ხშირად არაფორმალურ როლს ასრულებდნენ მშვიდობის შენარჩუნებასა და პოლიტიკური კავშირების ჩამოყალიბებაში.

წარსულში ქალები ხშირად ასრულებდნენ დიპლომატიურ ფუნქციებს, როგორც ფორმალური, ასევე არაფორმალური ან არაოფიციალური გზებით. ისტორიულ კონტექსტში დიპლომატიურ და საერთაშორისო ურთიერთობებში ქალების საქმიანობაში სამი ჯგუფი შეიძლება გამოვყოთ: 1. მონარქები, რეგენტები ან თანამმართველი ქალები, 2.დინასტიური ქორწილები, რომლებიც სახელმწიფოებს შორის პოლიტიკურ ურთიერთობებზე იყო გათვლილი და 3. არაფორმალური დიპლომატიური (soft diplomacy) საქმიანობის განმახორციელებელი ქალები.

1. **რეგენტები, მონარქები და მეფის თანამმართველი ქალები,** რომლებიც დიპლომატიას საკუთარ სახელმწიფოს უსაფრთხოებისა და გეოპოლიტიკური ინტერესების დასაცავად იყენებდნენ. ასეთ მეფე ქალთა სახეებს მიეკუთვნება საქართველოში მეფე თამარი - მისი მეფობა ისტორიაში საქართველოს ოქროს ხანად არის მიჩნეული. დინარ დედოფალი - ჰერეთის დედოფალი, რომელმაც ქრისტიანობა აღადგინა ჰერეთში, თანამედროვე საინგილოში; ეკატერინა მედიჩი - საფრანგეთის დედოფალი 1547-1559 წლებში როგორც ანრი II-ის მეუღლე - საფრანგეთის სამი მეფის ფრანსუა II-ის, შარლ IX-ისა და ანრი III-ის დედა. როგორც მეფის დედა, იგი ერეოდა საფრანგეთის პოლიტიკაში და დიდ გავლენასაც ახდენდა მასზე. იგი 1552, 1560-63 და 1574-75 წლებში იყო რეგენტი და თავად მართავდა ქვეყანას. ელისაბედ I - ინგლისისა და ირლანდიის დედოფალი ტიუდორების დინასტიიდან. ზეობდა 1559-1603 წლებში. ქორწინებაში არყოფნის გამო მეტსახელად ქალწული-დედოფალი შეარქვეს. მას ასევე უწოდებდნენ „გლორიანას“ და „კეთილ დედოფალ ბესის“. ასევე ვიქტორია, დიდი ბრიტანეთისა და ირლანდიის გაერთიანებული სამეფოს დედოფალი ჰანოვერების დინასტიიდან 1837–1901 წლებში. რუსეთში ეკატერინე II – რუსეთის გერმანული წარმომავლობის დედოფალი, რომელიც ტახტზე 1762 წლის 13 სექტემბერს ავიდა. მის მიერ გატარებულმა რეფორმებმა რუსეთი არნახულ სიმაღლეზე აიყვანა. ის 34 წელი მართავდა რუსეთს.

2. ქალები დინასტიურ პოლიტიკაში, ქორწინებითი კავშირებით, ხშირად ახდენდნენ სახელმწიფოებს შორის სტრატეგიული ურთიერთობების ფორმირებას. მაგალითად, გურანდუხტ დედოფალი - დავით IV აღმაშენებლის მეორე მეუღლე - ყივჩაღთა მთავრის ასული, რომლის გამო დავითი პირველ მეუღლეს გაეყარა. მარიამ არწრუნი - გიორგი I -ის მეუღლე და ვასპურაკანის მეფის სენექერიმის ასული, ბაგრატ IV-ის დედა, ეკლესიათა და მონასტერთა მაშენებელი; მარიამ მოდენელი - ინგლისის დედოფალი და ჯეიმზ II-ის მეუღლე, წარმოშობით იყო უძველესი იტალიური გვარის - ესტეს დინასტიის წარმომადგენელი.

3. არაფორმალური დიპლომატია (soft diplomacy) – არაფორმალური დიპლომატიური საქმიანობის განმახორციელებელი ქალები, იყვნენ ქველმოქმედებით, კულტურული ინიციატივებითა და საზოგადოებრივი საქმიანობით გამორჩეულები. , ისინი მაშინდელ საერთაშორისო ურთიერთობებში „რბილ ძალას“ ავითარებდნენ, გაცილებით ბევრად ადრე, ვიდრე ეს ტერმინი პოლიტიკურ მეცნიერებაში შემოიჭრებოდა. საქართველოს ისტორიაში ამის ერთ-ერთი ნათელი მაგალითია თამარის კარზე ორი დიპლომატი ქალბატონი ხუაშაქ ცოქალი და კრავაჲ ჯაყელი.

ქალთა მსგავსი როლები დიპლომატიასა და საერთაშორისო ურთიერთობებში საუკუნეების განმავლობაში ნაკლებად იყო აღიარებული, მიუხედავად იმისა, რომ ისინი მნიშვნელოვან ფუნქციებს ასრულებდნენ. ზემოთხსენებული ისტორიული მაგალითები გვიჩვენებენ, რომ ქალები ხშირად მონაწილეობდნენ სამშვიდობო მოლაპარაკებებში, დინასტიურ პოლიტიკაში, კულტურულ დიპლომატიაში და სახელმწიფო ინტერესების დაცვაში.

XX საუკუნიდან მოყოლებული, გლობალური ცვლილებების შედეგად დაიმსხვრა მრავალფეროვანი ბარიერები, რომლებმაც ქალებს საშუალება მისცა აქტიურად ჩართულიყვნენ დიპლომატიურ საქმიანობაში. 1945 წელს გაეროს დაარსებამ, ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის მიღებამ და გენდერული თანასწორობისთვის ბრძოლამ მნიშვნელოვანი გზაგასაყარი შექმნა. თანამედროვე მსოფლიო პოლიტიკაში ქალთა მონაწილეობა სტაბილურად იზრდება.

თანამედროვე ეპოქაში საერთაშორისო სამართალმა, გენდერულმა პოლიტიკამ და დემოკრატიულმა პროცესებმა მნიშვნელოვნად გაზარდა ქალთა მონაწილეობა საგარეო პოლიტიკის სფეროში. დღეს ქალი ლიდერები წარმატებით ხელმძღვანელობენ სახელმწიფოებს, სამინისტროს, საერთაშორისო ორგანიზაციებს და ახორციელებენ მნიშვნელოვან პოლიტიკურ ინიციატივებს. ამ ნაშრომის მიზანია ქალთა ლიდერობის ისტორიული განვითარების, თანამედროვე კონცეფციებისა და გლობალურ პოლიტიკაში მათი საქმიანობის გავლენის ანალიზი. კვლევა ეყრდნობა ისტორიულ წყაროებს, საერთაშორისო დოკუმენტებს, თანამედროვე კვლევებსა და პრაქტიკულ მაგალითებს.

ნაშრომის მიზანია, წარმოაჩინოს ქალთა ლიდერობის ისტორიული და თანამედროვე პროცესები დიპლომატიასა და საერთაშორისო ურთიერთობებში, გაანალიზოს გენდერული ბარიერები, წარმატებული მაგალითები, პოლიტიკის დოკუმენტები და მომავლის ტენდენციები.

ახალაძე ლალი

სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი

გენდერი და მენტალური ჯანმრთელობა: სტრესის, დეპრესიისა და შფოთვის გენდერული განსხვავებები

გენდერსა და მენტალურ ჯანმრთელობას შორის ურთიერთმიმართების შესწავლა წარმოადგენს მნიშვნელოვან გზას იმის გასაგებად, თუ როგორ მოქმედებენ ბიოლოგიური, ფსიქოლოგიური და სოციალურ-კულტურული ფაქტორები ინდივიდთა ფსიქიკურ კეთილდღეობაზე. ნაშრომი მიზნად ისახავს სტრესის, დეპრესიისა და შფოთვის გენდერული განსხვავებების მრავალმხრივი ანალიზის წარმოდგენას. დღეს, არსებული კვლევები მიუთითებს, რომ ქალებში დეპრესიისა და შფოთვითი აშლილობების პრევალენტობა უფრო მაღალია, რასაც საფუძვლად უდევს ჰორმონალური ცვლილებები, ემოციური შრომის გადამეტებული დატვირთვა, სოციალური მოლოდინები და გენდერულად ასიმეტრიული სტრესორები. ამასთან, ქალები შედარებით მეტად მიმართავენ სოციალური მხარდაჭერის სისტემებს, რაც ზოგჯერ იცავს ფსიქიკურ ჯანმრთელობას, თუმცა მაღალი ზეწოლის პირობებში სათანადო შედეგს ვერ აღწევს.

მამაკაცებში სტრესის გამოხატვისა და ფსიქიკური დარღვევების გამოვლენის თავისებურებები განსხვავებული პროფილით ხასიათდება: დეპრესიული სიმპტომები ხშირად ფარულია, რთულად დიაგნოსტირდება და შესაძლოა აგრესიულ რეაქციებში გამოიხატოს. ტრადიციული მამაკაცური ნორმები, რომლებიც ემოციური დაუცველობის გამოხატვას ზღუდავს, ხელს უწყობს შფოთვისა და დეპრესიის დაუფასებელ და დაუმუშავებელ ფორმებს. ნაშრომი ასევე ადარებს სოციალური მხარდაჭერის სტრუქტურებსა და ჯანდაცვის სერვისების ხელმისაწვდომობას, რომლებიც გენდერის მიხედვით განსხვავებულ გავლენას ახდენს მკურნალობის მიმართ დამოკიდებულებაზე და დახმარების ძებნის ალბათობაზე.

ჩვენი კვლევის ანალიზი აჩვენებს, რომ გენდერული განსხვავებები მენტალურ ჯანმრთელობაში არა მხოლოდ ბიოლოგიური, არამედ სოციალური და კულტურული ფაქტორების გზით ყალიბდება. ამიტომ, აუცილებელია გენდერულად მგრძნობიარე კვლევების, პოლიტიკისა და ინტერვენციების შემუშავება, რომლებიც მოერგება როგორც ქალების, ისე მამაკაცების სპეციფიკურ საჭიროებებს. ეს მოიცავს ადრეული სკრინინგის სტრატეგიებს, სტიგმის შემცირებას, მენტალური ჯანმრთელობის უფრო ინტეგრირებულ სერვისებს და განათლებას, რომელიც ხელს შეუწყობს ფსიქოლოგიური კეთილდღეობის გაუმჯობესებას მრავალფეროვან სოციალურ გარემოში.

ახალაძე ლია

სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი

გენდერული თანასწორობა მეცნიერებასა და უნივერსიტეტების სტრატეგიულ მართვაში

(სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქეისი 2023 - 2024 წწ. კვლევის მიხედვით)

ჩვენი კვლევა ეფუძნება 2023 და 2024 წლებში საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს მხრიდან იუნესკოს სტატისტიკის ინსტიტუტის მიერ შემუშავებულ ინდიკატორებზე დამყარებულ, ყოველწლიურად უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებისა და სამეცნიერო-კვლევითი ერთეულებისგან მიღებულ ინფორმაციას კვლევებისა და ექსპერიმენტული განვითარების შესახებ სტატისტიკური მონაცემების ანალიზს. კონკრეტულად, ამ მონაცემების საფუძველზე გაანალიზებულია სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის არსებული ვითარება გენდერული თანასწორობის თვალსაზრისით მეცნიერებაში, ხოლო უნივერსიტეტების სტრატეგიული მართვაში არსებული ვითარების დასაზუსტებლად ჩატარებულია ცალკე დამოუკიდებელი სტატისტიკური კვლევა.

აღნიშნული კვლევის შედეგები გამოიყენება საერთაშორისო დონეზე მეცნიერების, ტექნოლოგიებისა და ინოვაციების პოლიტიკის მხარდაჭერისთვის. შეგროვებული მონაცემები ვრცელდება საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის საქსტატისა და იუნესკოს სტატისტიკის ინსტიტუტის ვებ-გვერდებზე. სრულყოფილი ინფორმაციის მიღების მიზნით, მონაცემთა შეგროვების პროცესში ჩართულია სსუ სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების დეპარტამენტი.

კვლევის მიზანია გენდერული თანასწორობის მიმართულებით თანამედროვე გამოწვევებისა და შესაძლებლობების ანალიზი მეცნიერებასა და უნივერსიტეტების სტრატეგიულ მართვაში. ბოლო ათწლეულებში გენდერული თანასწორობა უმაღლესი განათლებისა და კვლევის ჩარჩოებში ერთ-ერთ პრიორიტეტულ მიმართულებად იქცა, თუმცა, მიუხედავად პროგრესისა, ქალი მეცნიერებისა და ქალი ადმინისტრატორების მონაწილეობა კვლავ შეზღუდულია.

ნაშრომის თეორიულ ჩარჩოში განხილულია საერთაშორისო ტენდენციები, მათ შორის - ევროკავშირის გენდერული თანასწორობის გეგმის (Gender Equality Plans), ბრიტანეთის „Athena SWAN Charter“-ს, UNESCO–ს STEM პროგრამების და სხვა გლობალურ სტრატეგიები. განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო „გარღვეული მილსადენის“ (leaky pipeline) მოდელს, რომელიც ასახავს, თუ როგორ მცირდება ქალთა რაოდენობა აკადემიურ საფეხურებზე წინსვლისას. ორწლიანი კვლევის მონაცემებმა გვიჩვენა სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტში არსებული მდგომარეობა, რომელიც განზოგადებულია საქართველოს სხვა უნივერსიტეტებზე.

გაანალიზებულია ეროვნული პოლიტიკა და სტრატეგიული დოკუმენტები, რომლებიც მიზნად ისახავენ თანასწორობის გაუმჯობესებას. კვლევა ასკვნის, რომ გენდერული თანასწორობის მიღწევა არა მხოლოდ სოციალური სამართლიანობის საკითხია, არამედ უნივერსიტეტების კვლევით პროდუქტიულობას, ინოვაციურობასა და კონკურენტუნარიანობას ზრდის. ბოლოს წარმოდგენილია რეკომენდაციები, რომლებიც ეფუძნება საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკებს და ეროვნული რეალობის ანალიზს.

გაბუნია კახა

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ენა და გენდერი

ბიოლოგიური სქესისაგან განსხვავებით, გენდერი სქესის სოციალურ განზომილებას, ერთგვარ სოციოკულტურულ ფენომენს წარმოადგენს, რომელიც ასახავს კაცად და ქალად ყოფნის თავისებურებებს ამა თუ იმ საზოგადოებაში.

გენდერული კვლევა ენათმეცნიერებაში ეხება ორ ძალზე მნიშვნელოვან საკითხს. ესენია:

1) **ენა და მასში გამოხატული სქესი.** ასეთი მიდგომის მიზანი იმის ახსნა და აღწერაა, თუ როგორ ვლინდება ენაში სხვადასხვა სქესის ადამიანის არსებობა; პირველ რიგში განიხილება სახელდების პრინციპები, ლექსიკა, ხოლო გრამატიკაში - სქესის კატეგორია,
2) **მეტყველება** და **ქალისა და მამაკაცის კომუნიკაციური ქცევის გამოხატვა**, სადაც გამოიკვეთება ტიპური სამეტყველო სტრატეგიები და ტაქტიკა, ლექსიკური ერთეულების / შესიტყვებების, ფრაზეოლოგიზმების გენდერულად სპეციფიკური არჩევანი, კომუნიკაციური წარმატების მიღწევის საშუალებები, ლექსიკური ერთეულების შერჩევის უპირატესობა, სინტაქსური კონსტრუქციები, რომლებიც ქალისა და მამაკაცის სამეტყველო თავისებურებებში იჩენს თავს.

გენდერი ენაში წარმოაჩენს ქალისა და მამაკაცის მეტყველებისათვის დამახასიათებელ თავისებურებებს. აქედან გამომდინარე, გენდერული ლინგვისტიკა სწავლობს ქალებისა და მამაკაცებისათვის დამახასიათებელ სამეტყველო სტერეოტიპებს.

გენდერული კვლევების გათვალისწინებით, დასავლეთში გამოყოფენ სამ ძირითად მიდგომას:

- პირველი მიდგომის არსი ქალისა და მამაკაცის სამეტყველო ენის სოციალური ბუნების ინტერპრეტაციაა და მიზნად ისახავს იმ ენობრივი განსხვავებების გამოვლენას, რაც შეიძლება აიხსნას საზოგადოებაში სოციალური ძალების გადანაწილების თავისებურებებით.
- მეორე, სოციოფსიქოლინგვისტური მიდგომა მეცნიერული თვალსაზრისით აზუსტებს „ქალისა“ და „მამაკაცის“ ლინგვისტური ქცევის ენობრივ თავისებურებებს. მეცნიერებისათვის, რომლებიც აღნიშნული მიმართულებით მუშაობენ, სტატისტიკურ მაჩვენებელებს და საშუალო პარამეტრების განსაზღვრას აქვს არსებითი მნიშვნელობა. ისინი ქმნიან ქალისა და მამაკაცისთვის დამახასიათებელი მეტყველების ჩარჩოს ფსიქოლინგვისტური თეორიის ასაგებად.
- მესამე მიდგომის წარმომადგენლები საერთოდ აქცენტს აკეთებენ სქესის ენობრივ ქცევებში განსხვავებისკოგნიტურ ასპექტზე.

გენდერულ სტერეოტიპებში განიხილავენ სამი სახის სტერეოტიპებს:

1) მასკულინობა-ფემინურობის სტერეოტიპები - წარმოდგენები ქალისა და მამაკაცის თვისებების შესახებ;

2) წარმოდგენები ქალისა და მამაკაცისთვის დამახასიათებელი ქცევების შესახებ;

3) წარმოდგენები როლების, ფუნქციების და საქმიანობების შესახებ.

სამივე ასპექტი აისახება ენაში.

გორგაძე ნათია

საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტი (ᲧიᲰა)

ინსტრუმენტები, რომლებიც ცვლიან პრაქტიკას: შეფასებაზე დაფუძნებული გენდერული თანასწორობა უმაღლეს განათლებაში

გენდერული თანასწორობა უმაღლეს განათლებაში სულ უფრო მეტად განიხილება როგორც ინსტიტუციური ეფექტიანობის, აკადემიური ხარისხისა და კვლევითი კონკურენტუნარიანობის წინაპირობა. მიუხედავად მნიშვნელოვანი პროგრესისა უმაღლეს განათლებაზე სტუდენტების წვდომის კუთხით, გლობალური და ეროვნული მონაცემები მიუთითებს სტრუქტურულ უთანასწორობაზე აკადემიურ კარიერაში, ლიდერობასა და STEM მიმართულებებში. საქართველოში ქალები შეადგენენ სტუდენტების უმრავლესობას, თუმცა მათი წარმომადგენლობა აკადემიურ იერარქიასა და მაღალპროდუქტიულ სფეროებში კვლავ შეზღუდულია.

ნაშრომის მიზანია შეფასების ფორმების და იმ დიაგნოსტიკური მეტრიკების განსაზღვრა, რომლებიც ეფუძნება საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკებს და ამავდროულად, ადაპტირებადია ქართული უმაღლესი განათლების ინსტიტუციურ, ფინანსურ და კონტექსტუალურ რეალობასთან. კვლევა ეყრდნობა შერეულ მიდგომას, რომელიც აერთიანებს რაოდენობრივ ინდიკატორებს (წარმომადგენლობა, კარიერული პროგრესი, ხელფასთა სხვაობა, ლიდერობა, STEM სეგრეგაცია) და თვისებრივ მეთოდებს (გენდერული აუდიტი, ფოკუს-Ჯგუფები, ინტერვიუები, ინსტიტუციური კულტურის ანალიზი).

თეორიულ საფუძველს წარმოდგენს გენდერული მეინსტრიმინგის, ფემინისტური ინსტიტუციონალიზმისა და შესაძლებლობებზე დაფუძნებული მიდგომის სინთეზის შედეგად შემუშავებული ჩარჩო, რომელიც შესაძლებელს ხდის, რომ თანასწორობის შეფასება განხორციელდეს არა მხოლოდ მონაწილეობის სტატისტიკის მიხედვით, არამედ რეალური შესაძლებლობების რეალიზაციაზე დაკვირვებით. საერთაშორისო ინსტრუმენტები, როგორაა გენდერული თანასწორობის ინდექსი, SHE-ს სტატისტიკა, იუნესკოს SAGA და GEAR/GEP მოდელი, წარმოადგენენ იმ მეტრიკების მრავალფეროვნებას, რომელთა დეტალური შესწავლა და ანალიზიც ცხადყოფს, რომ საქართველოს კონტექსტში მონიტორინგის სისტემებისა და სტანდარტიზებული მონაცემების მოპოვება კვლავ შეზღუდულია.

კვლევა აჩვენებს, რომ საქართველოსთვის ოპტიმალურია მაღალი ზეგავლენის მქონე, მაგრამ მარტივი და დაბალბიუᲯეტიანი მეტრიკების სისტემის დანერგვა, რომელთა ინტეგრირება რეალისტურია ინსტიტუციური გაუმᲯობესების ციკლში (GEAR/GEP). ასეთი მიდგომა შექმნის საფუძველს მტკიცებულებებზე დაფუძნებული პოლიტიკის წარმოებისათვის და გაზრდის უნივერსიტეტების შესაბამისობას ევროპულ კვლევით და საგანმანათლებლო სივრცესთან.

ეძგვერაძე ლელა, ქობულაძე ნატო, ტყემალაძე შორენა
აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

გენდერი და მასწავლებლის პროფესია

თანამედროვე საგანმანათლებლო სისტემის მნიშვნელოვანი გამოწვევაა სკოლისთვის გენდერული სტერეოტიპებისაგან თავისუფალი მასწავლებლის მომზადება, რომელიც აღჭურვილი იქნება შესაბამისი ცოდნითა და უნარებით, და შეძლებს მოსწავლეებისათვის გენდერული ცრურწმენებისგან თავისუფალი ცნობიერების ჩამოყალიბებას.

წარმოდგენილი კვლევა აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის (აწსუ) მასწავლებლის მოსამზადებელი პროგრამების ბაზაზე ჩატარდა. კვლევის მიზანი იყო: შეგვესწავლა მომავალ მასწავლებელთა შეხედულებები გენდერის შესახებ, მათ მიერ სკოლაში სწავლის პერიოდში მიღებული გამოცდილება; განგვესაზღვრა საჭიროებები, გამოგვეკვეთა, როგორ შეიძლება გავაუმჯობესოთ მასწავლებლის მომზადების პროგრამები, რათა ეფექტურად იქნას უზრუნველყოფილი გენდერთან დაკავშირებული ცოდნისა და უნარ–ჩვევების შეძენა, მათი მიზნობრივად გამოყენება პრაქტიკაში.

კვლევის ფარგლებში ჩატარდა 7 ფოკუს–ჯგუფი აწსუ პედაგოგიური ფაკულტეტის მასწავლებლის მომზადების პროგრამების სტუდენტებთან, ინტერვიუ ლექტორ–მასწავლებლებთან, რომლებსაც მიჰყავთ ისეთი კურსები, როგორებიცაა: მულტიკულტურული განათლების საფუძვლები; დემოკრატიული განათლება; სასწავლო კურიკულუმის აგების პრინციპები; უსაფრთხო სკოლა, კონფლიქტების მართვა; პრაქტიკაზე დაფუძნებული კვლევა მრავალფეროვან სასწავლო გარემოში; განათლების პოლიტიკა. გავაანალიზეთ კურიკულუმები, ცალკეული სასწავლო კურსები.

სტუდენტთა გამოცდილებისა და დამოკიდებულებების შესწავლამ აჩვენა, რომ ისინი აღიარებენ გენდერული თანასწორობის მნიშვნელობას, თუმცა მათი ნაწილი ჯერ კიდევ არ არის თავისუფალი ქვეცნობიერი სტერეოტიპებისაგან, რაც მათ გადაწყვეტილებებზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენს. უნდა აღინიშნოს, რომ ფოკუს–ჯგუფების მუშაობამ ცნობიერების ამამაღლებელი ფუნქცია შეასრულა. დისკუსიების პროცესში გამოიკვეთა უმნიშვნელოვანესი გზავნილი - გენდერული სტერეოტიპებისაგან თავისუფალი საზოგადოება უფრო პროდუქტიული, ბედნიერი და წარმატებულია.

სტუდენტთა გამოკითხვამ, ლექტორ–მასწავლებლებთან გასაუბრებამ, კურიკულუმებისა და სასწავლო კურსების შინაარსის გაანალიზებამ წარმოაჩინა მასწავლებლის მომზადების პროგრამების გაძლიერების შესაძლებლობები:

- გენდერის მიმართულებით სპეციალური კურსების შემუშავება;
- გენდერული თანასწორობის პრინციპების პედაგოგიური მიმართულების კურსების თემებში ინტეგრირება;

- წიგნიერების მიმართულების მეთოდიკის კურსებში გენდერული ასპექტების გათვალისწინება;
- სხვადასხვა სასწავლო კურსის კონტექსტებში გენდერულად მგრძნობიარე შემთხვევების განხილვა;
- კვლევითი უნარების განვითარებაზე ორიენტირებული კურსების ფარგლებში გენდერის კვლევების განხილვა, დაგეგმვა, განხორციელება;
- სამაგისტრო ნაშრომებში გენდერის საკითხების კვლევა.

კიკვიძე ზეინაბ
აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

გენდერული სუბიექტურობის ნარატიული ფორმები
(თამთა მელაშვილისა და ელენა ფერანტეს ტექსტების შედარებითი ანალიზი)

საზოგადოებაში დამკვიდრებული გენდერული სტერეოტიპების გამოვლენისა და ანალიზის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კვლევითი რესურსი მხატვრული ლიტერატურაა, რომლის საშუალებითაც შესაძლებელია სოციუმში არსებული ფარული და ღია გენდერული ასიმეტრიების გამოკვეთა. ქართველი და იტალიელი მწერლების,_ თამთა მელაშვილისა და ელენა ფერანტეს ტექსტების შედარების საშუალებით, ნარატიული ფორმების ფიქსაციით, გამოვლენილია გენდერული სუბუექტურობა. ორივე მწერალი იყენებს ჰომოდიეგესური თხრობის ფორმას, სადაც შინაგანი მონოლოგი ავლენს არა მხოლოდ პერსონაჟის სულიერ სამყაროს, არამედ მის სოციალურ-გენდერულ პოზიციასაც. ორივე ტექსტში ქალის „მე“ ფორმირდება ცხოვრების გარდამტეხ პერიოდში.

თ. მელაშვილის „შაშვი, შაშვი, მაყვალში“ ფოკალიზაცია (ჟ. ჟენეტისეული გააზრებით) სოციუმის სუბიექტურ აღქმაზეა ორიენტირებული. პერსონაჟი, რომელიც 48 წლამდე დასაზღვრულ გენდერულ ჩარჩოებში ცხოვრობს, მაქსიმალურად ცდილობს განკარგოს საკუთარი ცხოვრება, თუმცა ინტიმური ურთიერთობის შემდეგ სამყაროს ახლებური სქესობრივი და სოციალური კოდებით შეიმეცნებს. მისი ფიზიკური და ემოციური გარდაქმნა ვლინდება ნარატიულ დისკურსში, რომელშიც ჩანს, როგორ ერწყმის ქალის „მე“ მის გენდერულად ნორმირებულ გარემოს.

ე.ფერანტეს „მარტოობის დღეებში“ მთავარი გმირის შინაგანი მონოლოგი ქმნის ერთგვარ დისკურსს, სადაც ქმართან დაშორების შემდეგ ქალის სამყარო დეკონსტრუირებულია. ე.წ. სიჩუმის ხმა, ლატენტური ემოციური ტკივილი, თვითრეფლექსიის გამომხატველი ფრაზები იქცევა დისკურსულ ნიშნებად, რომლის საშუალებითაც ქალის სუბიექტურობა ხელახლა უნდა ჩამოყალიბდეს.

ორივე ტექსტის შედარებითი ანალიზის საფუძველზე გამოვლენილია:

1. გენდერული ურთიერთობების სოციალური პოზიციები, სადაც ქალის სუბიექტი განიხილება როგორც სოციალური მოლოდინებისა და სტერეოტიპების შედეგი;
2. დისკურსული და ენობრივი თვითგამოხატვის ფორმები,_ შინაგანი მონოლოგი, გაჩუმებისა და ფრაგმენტაციის ხერხები, რომლებიც ქალის სულიერი ტკივილების „შინაგან ხმას“ წარმოქმნის;
3. გენდერული პოზიცია ნაჩვენებია ფოკალიზაციით, შინაგანი ხედვით.

ორივე თხზულების შედარებითი ანალიზი აჩვენებს, გენდერული სუბიექტური გამოცდილების გარდაქმნას კვლევითი მნიშვნელობის მქონე ნარატიულ ფენებად. ცხადი ხდება,

რომ გენდერული ცნობიერების შესწავლისათვის ლიტერატურა მნიშვნელოვან ემპირიულ და მეთოდურ რესურსს ქმნის აკადემიურ სივრცეში.

ნარიმანიძე მარი

სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი

გენდერული უთანასწორობა ბავშვთა უფლებების კონტექსტში

ბავშვთა უფლებების დაცვა და განხორციელება მოითხოვს იმ სოციალური, კულტურული და ინსტიტუციური ფაქტორების სრულყოფილ გააზრებას, რომლებიც განსაზღვრავს ბავშვის შესაძლებლობებსა და განვითარების პირობებს. ამ ფაქტორებს შორის გენდერი წარმოადგენს ერთ-ერთ ყველაზე არსებით კომპონენტს, ვინაიდან ის აყალიბებს ნორმებს, მოლოდინებსა და ქცევით სტანდარტებს, რომლებიც ბავშვების ყოველდღიურ გამოცდილებას, შესაძლებლობებზე წვდომასა და გადაწყვეტილებების მიღების თავისუფლებას ზღუდავს. მიუხედავად იმისა, რომ ბავშვთა უფლებების საერთაშორისო დოკუმენტები - მათ შორის ბავშვთა უფლებების კონვენცია - მკაფიოდ კრძალავს გენდერულ დისკრიმინაციას, სტერეოტიპული წარმოდგენები და სოციალური ნორმები კვლავ მნიშვნელოვანწილად განსაზღვრავს ბავშვთა უფლებათა ფაქტობრივ რეალიზებას.

გენდერული ნორმები პირდაპირ ზემოქმედებს ბავშვის განათლების უფლებაზე - არა მხოლოდ სწავლის ხელმისაწვდომობაზე, არამედ სწავლების ხარისხზე, მოტივაციაზე და მიღებულ მხარდაჭერაზე. საზოგადოებაში დამკვიდრებული წარმოდგენების გამო გოგონები ხშირად ნაკლებად იღებენ წახალისებას იმ მიმართულებებისკენ, რომლებიც „მამაკაცურ“ სფეროდ მიიჩნევა. ამავე დროს, ბიჭები ერიდებიან აქტივობებსა და საგნებს, რომლებიც „ქალურ“ ინტერესებთან ასოცირდება. შედეგად, ბავშვები ვერ ავლენენ სავსებით საკუთარ შესაძლებლობებს, რადგან გენდერული მოლოდინები ზღუდავს მათი ინტერესების მრავალფეროვნებას და აფერხებს ბუნებრივ განვითარებას.

გენდერული ასიმეტრიები ზღუდავს ბავშვთა მონაწილეობის უფლებასაც. ხშირად, საზოგადოებაში გოგონების მოსაზრება ნაკლებად აღიქმება სანდოდ და ავტორიტეტულად, მაშინ როცა ბიჭებს ხშირად არ აძლევენ ემოციური თვითგამოხატვის შესაძლებლობას. ამასთან, გენდერული ნორმები პირდაპირ აზიანებს ბავშვის ღირსების, უსაფრთხოებისა და დაცვის უფლებებს: სექსობრივი ნიშნით ბულინგი, სექსისტური დამოკიდებულებები და სტიგმა ხშირად სერიოზულად ახდენს გავლენას ბავშვის ფსიქოსოციალურ კეთილდღეობაზე. ამრიგად, ბავშვთა უფლებების პოლიტიკის დაგეგმვასა და საგანმანათლებლო პრაქტიკაში გენდერული განზომილების გათვალისწინება სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია. გენდერულად სენსიტიური მიდგომები ქმნის პირობებს ისეთი გარემოსთვის, სადაც ყველა ბავშვი - როგორც გოგო, ისე ბიჭი - შეძლებს საკუთარი უფლებების რეალიზებას თავისუფლად, თანასწორად და სტერეოტიპების ზეგავლენისგან თავისუფალ გარემოში.

ტაბატაძე შალვა
აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტი

გენდერული დისკურსების ანალიზი სასკოლო სახელმძღვანელოებში საქართველოს კონტექსტში

კვლევის ფარგლებში განხორციელდა კრიტიკული დისკურსული ანალიზი საქართველოს სასკოლო სახელმძღვანელოებზე ჩატარებული ათი კვლევის საფუძველზე. კვლევის ორი ძირითადადი საკვლევი კითხვა ჰქონდა: (1) რა კონკრეტული დისკურსები იდენტიფიცირდება სახელმძღვანელოებში, რომლებიც შექმნილია ეროვნული სასწავლო გეგმის პირველი, მეორე და მესამე თაობის ფარგლებში? (2) რა ფაქტორები უწყობს ხელს ამ დისკურსების ჩამოყალიბებას საქართველოს საგანმანათლებლო სისტემის კონტექსტში? ანალიზისთვის გამოვიყენეთ ფემინისტური კრიტიკული დისკურსული ანალიზის (FCDA) მიდგომა, რომელიც შემუშავებულია ლაზარის მიერ. კვლევის ფარგლებში იდენტიფიცირებული დისკურსები დაყოფილია სამ ძირითად დომენად—ძალაუფლებრივი ურთიერთობები, სოციალური ინტერაქცია და ოჯახური ურთიერთობები. სამი დომენის ფარგლებში კვლევამ გამოავლინა დისკურსების შემდეგი რვა კატეგორია: კაცი უპირატესია ქალზე; ქალი მეორეხარისხოვანია; კაცს აქვს ძალაუფლება; ქალი უძლურია; ქალი უხილავია; ქალი პასიური მონაწილეა; კაცი პრობლემის გადამჭრელია; ქალი დიასახლისი და ქმრის ქვეშევრდომია, ხოლო კაცი ოჯახის უფროსია. კვლევის შედეგებმა გამოავლინა ტრადიციული გენდერული სტერეოტიპების დომინირება "ენის გამოყენების გარეშე" დისკურსების ჩამოყალიბების ტენდენცია ქალების სრულად გამოტოვებისა და უხილაობის გზით. კვლევამ ასევე აჩვენა, რომ მიუხედავად იმისა, რომ განათლების სისტემაში ქალები სტრუქტურულად დომინირებენ, დისკურსული პრაქტიკა კვლავ ამყარებს მამაკაცის პრივილეგიას, რაც მიუთითებს, რომ მხოლოდ სტრუქტურული ძალაუფლება საკმარისი არ არის ძალაუფლების ურთიერთობების ტრანსფორმაციისთვის. ამასთანავე, წარმოდგენილი კვლევა თეორიულად ავითარებს სახელმძღვანელოების ანალიზის ჩარჩოს და პრაქტიკულად უზრუნველყოფს პოლიტიკისა და პრაქტიკის გაუმჯობესების რეკომენდაციებს. კვლევა წარმოადგენს მომავალი კვლევების რეკომენდაციასაც, რომელიც სასურველია ფოკუსირდეს დემოკრატიული და ავტორიტარული სახელმწიფოების სასკოლო სახელმძღვანელოებში გენდერული პოლიტიკის რაციონალის შედარებაზე.

ფირჩხაძე მაია, ბუხრაშვილი ეკა

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

გენდერული სტერეოტიპები და ლიდერობის სტილი ქართულ საგანმანათლებლო სივრცეში

ქართულ საგანმანათლებლო სივრცეში ლიდერობის სტილზე მრავალი ფაქტორი მოქმედებს, თუმცა განსაკუთრებული ყურადღება გენდერულ სტერეოტიპებს დაეთმობა, რომელიც ხშირად განსაზღვრავს მენეჯერული როლებისა და პასუხისმგებლობების აღქმას. მართვის პროცესი, როგორც სტრატეგიული დაგეგმვისა და გადაწყვეტილების მიღების ერთობლიობა, მოითხოვს ისეთ ლიდერობას, რომელიც თანაბრად აფასებს როგორც რაოდენობრივ, ისე თვისებრივ კომპეტენციებს. ამ ვითარებაში გენდერი ხშირად იქცევა იმ სტერეოტიპული მოლოდინების წყაროდ, რომლებიც გავლენას ახდენს ლიდერის შეფასებასა და მის ფუნქციურ ეფექტიანობაზე.

დასაქმების პრაქტიკა და ორგანიზაციული კულტურა დღემდე ინარჩუნებს განსხვავებულ მოლოდინებს ქალებისა და მამაკაცების მიმართ: ქალ-ლიდერებს ხშირად უკავშირებენ კომუნიკაციას, თანამშრომლობასა და პროცესების გავრცელებულ ფორმალურ მართვას (soft skills), მაშინ როცა მამაკაც-ლიდერებს მიაწერენ სწრაფ გადაწყვეტილებებსა და კრიზისების მართვის უნარს (hard skills). სწორედ ამ განსხვავებების შესასწავლად 2022 წლის 1–5 მარტს ჩატარდა კვლევა თბილისის იტალიური სკოლის „ცისკარის“ მასწავლებლებში, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სტუდენტებსა და პროფესორ-მასწავლებლებში, სულ 76 მონაწილით. კვლევის საფუძველს წარმოადგენს გენდერული მეინსტრიმინგის თანამედროვე მიდგომები, ინოვაციური განათლების პრინციპები და პროექტების მართვის მეთოდოლოგია, რომლებიც ხაზს უსვამს ინკლუზიური, თანასწორობასა და ღირებულებით ობიექტურობაზე დაფუძნებული მენეჯმენტის აუცილებლობას.

კვლევის შედეგებმა აჩვენა, რომ მიუხედავად არსებული სტერეოტიპებისა, მონაწილეთა უმრავლესობა ლიდერობის სტილის ეფექტიანობას უფრო ინდივიდუალურ უნარებს უკავშირებს, ვიდრე სქესს. ქალ ლიდერებს უპირატესობა ენიჭებათ კომუნიკაციისა და გუნდური პროცესების მართვაში, ხოლო მამაკაც ლიდერები აღიქმებიან როგორც გადამჭრელი მოქმედებების ინიციატორები, თუმცა ორივე მიმართულება თანაბრად მნიშვნელოვანად ფასდება. შედეგად, ქართული საგანმანათლებლო სივრცე თანასწორი ჩართულობისა და კომპლემენტარული ლიდერობის მოდელს უფრო მეტად მიიჩნევს წარმატების წინაპირობად.

როგორც კვლევა აჩვენებს, ქართული საგანმანათლებლო გარემო ჯერ კიდევ განიცდის სტერეოტიპების ზეგავლენას, რომლებიც ზღუდავს ლიდერობის შესაძლებლობებს,

განსაზღვრავს მართვის სტილს და ქმნის უხილავ ბარიერებს გადაწყვეტილების მიღების კულტურაში.

დასკვნის სახით, კვლევა ხაზს უსვამს გენდერული სტერეოტიპების დაძლევის, ინსტიტუციური პოლიტიკის გადახედვისა და ცნობიერების ამაღლების საჭიროებას, რათა ქართულ საგანმანათლებლო სივრცეში ჩამოყალიბდეს თანასწორობის საფუძველზე დამყარებული ლიდერობის კულტურა.

ქათამაძე დავით

ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი

გენდერული ნორმების შიდაანალიზი სტუდენტებში: ცნობიერების ტრანსფორმაციის ფსიქოლოგიურ-საგანმანათლებლო მოდელი უმაღლეს განათლებაში

უმაღლესი განათლების სივრცე მნიშვნელოვანი სოციოკულტურული გარემოა, სადაც გენდერული ნორმები, სტერეოტიპები და ძალაუფლების ფარული დინამიკები სტუდენტთა გამოცდილებას, იდენტობასა და პროფესიულ გზებს აყალიბებს. კვლევის მიზანია წარმოდგენა იმისა, თუ როგორ მიმდინარეობს გენდერული ნორმების შიდაანალიზის პროცესი სტუდენტებში და როგორ შეიძლება ფსიქოლოგიურ-საგანმანათლებლო ინტერვენციების გამოყენება ცნობიერების ტრანსფორმაციის მხარდასაჭერად. მუშაობის თეორიული ჩარჩო ეფუძნება სოციალურ-კოგნიტურ მოდელებს, გენდერული სქემების თეორიასა და უნივერსიტეტის „ფარული სასწავლო გეგმის“ კონცეფციას, რომლებიც ხსნის, თუ როგორ იძენენ სტუდენტები გენდერულ მნიშვნელობებს არა მხოლოდ ფორმალური სწავლების, არამედ სოციალური ინტერაქციებისა და ინსტიტუციური კულტურის გავლენით.

წარმოდგენილი „ცნობიერების ტრანსფორმაციის მოდელი“ მოიცავს სამ თანმიმდევრულ სტადიას: (1) გენდერული ნორმების გამოვლენა და დაუფარავი სტერეოტიპების იდენტიფიკაცია; (2) შიდაანალიზი და კრიტიკული რეფლექსია - როგორც ინტრაპერსონალური, ისე ჯგუფური დინამიკის დონეზე; (3) მოქმედებითი ტრანსფორმაცია, რომელიც სტუდენტებში ავითარებს გენდერულად მგრძნობიარე აზროვნებას, პასუხისმგებლობას და სწავლის პროცესში თანასწორობის ხელშეწყობას. მოდელი ეფუძნება მცირე ჯგუფურ დისკუსიებს, ქეისებზე დაფუძნებულ სწავლებას და უნივერსიტეტში გენდერული კლიმატის შეფასების ინსტრუმენტებს.

მიღებული მონაცემები მიუთითებს, რომ სტუდენტებში გენდერული ნორმების კრიტიკული გააზრება შესაძლებელს ხდის ბარიერების იდენტიფიკაციას, სტერეოტიპების შემცირებას და პროსოციალური ცვლილებების ინიცირებას. კვლევა უზრუნველყოფს პრაქტიკულ ჩარჩოს უნივერსიტეტებისთვის, რომელთაც სურთ გენდერულად სენსიტიური გარემოს ფორმირება, და ეხმიანება კონფერენციის მიზანს - ცნობიერების ამაღლებიდან ინსტიტუციურ ტრანსფორმაციამდე გადასვლას.

შინჯიაშვილი თამარ

სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი

გენდერული სტერეოტიპები დაწყებითი საფეხურის მასწავლებლებს შორის

გენდერული სტერეოტიპები მნიშვნელოვან გავლენას ახდენს სწავლებისა და აღზრდის პროცესზე, განსაკუთრებით დაწყებით საფეხურზე, სადაც პედაგოგის ქცევა, მოლოდინები და სწავლების სტილი პირდაპირ ზემოქმედებს ბავშვების თვითაღქმაზე, თვითეფექტიანობაზე და მომავალ ქცევით მოდელებზე. საქართველოში გენდერული სტერეოტიპები განათლების პრაქტიკაში კვლავ ფართოდ ფიქსირდება, რაც კვლევას განსაკუთრებით მნიშვნელოვანს და აუცილებელს ხდის.

კვლევის მიზანი იყო საქართველოში დაწყებით საფეხურზე მომუშავე მასწავლებლებში გენდერული სტერეოტიპების იდენტიფიცირება და ანალიზი სამ სფეროში: ოჯახური როლები, სასკოლო გარემო და საგნობრივი მოლოდინები, პროფესიული არჩევანი და კარიერული სტერეოტიპები.

კვლევა ჩატარდა დაწყებითი კლასების 40 პედაგოგზე, როგორც საჯარო, ისე კერძო სკოლებიდან. მონაცემები შეგროვდა სტრუქტურირებული კითხვარის საშუალებით, რომელიც მოიცავდა 5-ქულიან ლიკერტის სკალას და დახურულ კითხვებს.

მიღებული შედეგები აჩვენებს, რომ მასწავლებლებში გენდერული სტერეოტიპები კვლავ ძლიერია როგორც ოჯახურ, ისე საგანმანათლებლო და პროფესიულ სფეროებში. სტერეოტიპების ნაწილი მასწავლებლებისთვის შეუმჩნეველია, რაც მიუთითებს კულტურულად გამყარებულ მიკერძოებაზე.

კვლევა ცხადყოფს, რომ დაწყებითი საფეხურის მასწავლებლებში გენდერული სტერეოტიპები კვლავ მდგრადად არსებობს და გავლენას ახდენს მოსწავლეთა შეფასებაში, მოლოდინებსა და საქმიანობის განაწილებაში. აუცილებელია პედაგოგთა გენდერული განათლების გაძლიერება, სტერეოტიპების ცნობადობის გაზრდა, რათა შეიქმნას თანასწორი და ინკლუზიური სასწავლო გარემო.

ერთად გენდერული სტერეოტიპებისა
და გენდერული ძალადობის დასაძლევად
#eu4genderequality